


ს	ა	ბ	გ	დ	ე
შ	ხ	ც	ძ	წ	ჭ
ხ	ა	ბ	გ	დ	ე
წ	ჭ	ც	ძ	წ	ჭ



12-14

საგზაო უსაფრთხოების საგანმანათლებლო პაკეტი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საგზაო უსაფრთხოების საგანმანათლებლო პაკეტის გასაცნობად, რომელიც შემუშავებულია ორგანიზაციის - “აღმოსავლეთ ალიანსი უსაფრთხო და მდგრადი ტრანსპორტისთვის” - მიერ. წინამდებარე მრავალფეროვანი მასალა შექმნილია იმისათვის, რომ დაგვეხმაროს საგზაო უსაფრთხოების წესების სწავლებაში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო მეთოდებით.

მარტივი, გასართობი საგანმანათლებლო აქტივობების გამოყენებით მასწავლებლები და მშობლები დაეხმარებიან ახალგაზრდებს იმაში, რომ გზებზე უსაფრთხოდ გადაადგილდნენ.

წარმოდგენილი მასალა ითვალისწინებს იმ რესურსებს, რომლებიც საჭიროა ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საგზაო უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების შესასწავლად მათი ასაკის შესაბამისად.

აღნიშნული სახელმძღვანელოს მთავარი პრინციპებია:

- ინფორმირებულობა საგზაო მოძრაობის და მისი საფრთხეების შესახებ.
- სწორი ქმედებები (ქცევა) გზებზე.
- უსაფრთხო არჩევანის გაკეთება საკუთარი და სხვების უსაფრთხოებისთვის.

რატომ უნდა ვასწავლოთ საგზაო უსაფრთხოება?


საშუალოდ, ყოველდღიურად 18 წლამდე ასაკის 500-ზე მეტი მოზარდი იღუპება საგზაო შემთხვევების შედეგად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საგზაო შემთხვევები ახალგაზრდების სიკვდილის ყველაზე მთავარი მიზეზია მსოფლიოს ყველა რეგიონში.

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საგზაო უსაფრთხოება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ძირითადი უსაფრთხოების უნარების შესწავლა არასოდეს არის ადრე. ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით 1.2 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება და ათობით მილიონი ადამიანი იღებს ჯანმრთელობის დაზიანებას საგზაო შემთხვევების შედეგად.

ბავშვები კი განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან, რადგან:



ს	ა	ბ	გ	დ	ე
უ	ს	ა	ფ	რ	თ
ხ	ო	ე	ბ	ი	ს
ს	ა	ბ	გ	დ	ე
ფ	რ	თ	ხ	ო	ე
ბ	ი	ს	ს	ა	ბ
გ	დ	ე	ფ	რ	თ



12-14

- მძღოლებს უჭირთ ბავშვების დანახვა, რადგან ისინი ზომით პატარები არიან.
- მათ ნაკლებად შესწევთ უნარი გააცნობიერონ საფრთხე ასაკის გამო, უჭირთ სწორი გადაწყვეტილების მიღება უსაფრთხო მოქმედებისათვის.
- ისინი ფიზიკურად პატარები არიან და უფრო ადვილად ზიანდებიან.

საგზაო უსაფრთხოების გზავნილებისა და უნარების სწავლებით მასწავლებლებს შეუძლიათ დაიცვან ბავშვთა უსაფრთხოება. ახალგაზრდებისათვის რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათთვის უსაფრთხოების წესების სწავლება მათი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

საგზაო უსაფრთხოების თემა ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართულობის საშუალებას იძლევა. ყველაზე პატარა ასაკის ბავშვსაც კი აქვს გარკვეული ინფორმაცია მის შესახებ, რადგან ყველა ადამიანი ბავშვობიდანვე გზის მომხმარებელია, შესაბამისად, საგზაო უსაფრთხოებას ყველაზე აქვს გავლენა განურჩევლად ასაკისა.

საგანმანათლებლო პაკეტის შესავალი

აღნიშნული პაკეტი ითვალისწინებს საგზაო უსაფრთხოების გზავნილებისა და ქცევის წესების დანერგვის სტიმულირებას და მასში აქტიურ ჩართულობას.

საგანმანათლებლო პაკეტი ითვალისწინებს წამახალისებელ და ინტერაქტიულ აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საგზაო უსაფრთხოების გზავნილებისა და ქცევის წესების დანერგვას.

პაკეტი დაყოფილია სამ ნაწილად:

- 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის
- 6-11 წლის ბავშვებისთვის
- 12-14 წლის ბავშვებისთვის


თითოეულ ნაწილში წარმოდგენილი საკითხები იცვლება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მაგრამ ისინი საერთო ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარეობს.

საგანმანათლებლო პაკეტის გამოყენება

პაკეტის თითოეულ ნაწილში წარმოდგენილია ასაკობრივი ჯგუფების უნარების, ცოდნის შესაბამისი რესურსები, რჩევები და მითითებები მასწავლებლებისათვის,



ს	ა	ბ	გ	დ	ე
უ	ს	ა	ფ	რ	თ
ხ	ო	ე	ბ	ი	ს
ს	ა	ბ	გ	დ	ე
მ	ა	ნ	ბ	გ	დ
ე	ბ	გ	დ	ე	ბ
გ	დ	ე	ბ	გ	დ



12-14

რომლებიც იძლევა საკმარის ინფორმაციას ახალგაზრდებისთვის საგზაო უსაფრთხოების შესახებ განსახორციელებლად. წარმოდგენილია როგორც მასწავლებლის ხელმძღვანელობით განსახორციელებელი მთავარი აქტივობები (გეგმა-გაკვეთილი და სავარჯიშოები), ასევე მასალები, რომელთა ასლების გადაცემა შესაძლებელია ბავშვებისათვის.

მოცემული რესურსები საგზაო უსაფრთხოების განათლების პროგრამის ფორმირებას უწყობს ხელს, რაც შესაძლოა გაერთიანდეს გაკვეთილებთან ან სასკოლო აქტივობებთან. ჩვენ გთავაზობთ ყოველ კვირას, სხვადასხვა სახის აქტივობების ჩატარებას რამოდენიმე კვირის განმავლობაში.

მასალები შეგიძლიათ გამოიყენოთ ინდივიდუალურადაც რომელიმე კონკრეტული საგზაო უსაფრთხოების საკითხის განხილვისას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

მთავარი გზავნილები

მასწავლებელთა შენიშვნების/მითითებების თითოეულ ნაწილში ხაზგასმულია მთავარი გზავნილები შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისათვის. თითოეული სავარჯიშო შეიცავს მთავარ გზავნილს და მიზნებს. შეეცადეთ ყოველთვის გამოკვეთოთ ეს მთავარი გზავნილები.

აქტიური სწავლება

ბავშვები და მოზარდები სწავლობენ ყველაზე კარგად მაშინ, როცა აქტიურად არიან ჩართულები აქტივობაში. შეეცადეთ თქვენი გაკვეთილები გახადოთ შემდგომისდაგვარად ინტერაქტიული და პრაქტიკული.

პრაქტიკული გამოცდილება


ბავშვებისა და მოზარდებისათვის პირველ რიგში აუცილებელია ცოდნის მიღება გზების, საგზაო მოძრაობის და უსაფრთხოების წესების შესახებ. საგზაო უსაფრთხოების სწავლებისას ყოველთვის შეეცადეთ განახორციელოთ პრაქტიკული აქტივობა.

ლექსიკური მარაგის გაცნობიერება

იმისათვის, რომ ბავშვები სრულად ჩაერთონ საგზაო უსაფრთხოების ცნებების გაანალიზებაში, აუცილებელია შესაბამისი ლექსიკური მარაგის ქონა. დარწმუნდეთ, რომ მოზარდებს, რომელთანაც თქვენ მუშაობთ, ესმით ის ტერმინები, რომელსაც იყენებთ.



ს	ა	ბ	ზ	ა	ო									
შ	ს	ა	ფ	რ	თ	ხ	ო	ე	ბ	ი	ს			
ს	ა	ბ	ა	ნ	მ	ა	ნ	ა	თ	ლ	ე	ბ	ლ	ო
კ	ა	კ	ე	ტ	ი									



12-14

12-დან 14 წლამდე ბავშვებისთვის - შესავალი

ეს ნაწილი მოიცავს შემდეგ გზაჯინებს:
 იყავი მუდამ ფხიზლად და აღმოაჩინეთ რისკები
 ნუ გარისკავ გზაზე
 საგზაო უსაფრთხოება ყველასთვისაა
 გათავისუფლდით თანატოლების ზეწოლისგან
 მუდამ გეკეთოთ უსაფრთხოების ღვედი

საგანმანათლებლო პაკეტის ეს ნაწილი 12-დან 14 წლამდე ასაკის მოზარდებისთვისაა გათვალისწინებული. ამ ასაკის ახალგაზრდების ჩართულობა საგზაო უსაფრთხოების სფეროში შედარებით რთული იქნება, რადგან ისინი უსაფრთხოების ძირითადი წესების შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებულები არიან და შესაძლოა ფიქრობდნენ, რომ საგზაო უსაფრთხოების წესების სწავლება მათთვის აღარ არის მნიშვნელოვანი.

სინამდვილეში ეს ძალიან მნიშვნელოვანი ასაკია სწავლებისთვის. ახალგაზრდა თინეიჯერები მეტად დამოუკიდებლები არიან ვიდრე ბავშვები და მეტად იმყოფებიან საგზაო შემთხვევის შედეგად სერიოზულად დაშავების ან დაღუპვის რისკის ქვეშ.

საფრთხეები ამ ასაკში რამოდენიმე მიზეზის გამო იცვლება. თინეიჯერები უფრო ადვილად მიდიან რისკზე, ვიდრე პატარა ბავშვები. ისინი ხშირად საკუთარ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებენ და თანატოლების გავლენის ქვეშ ადვილად ექცევიან.

როცა ამ ასაკის ჯგუფთან ერთად ვმუშაობთ, მათთვის ნათელი უნდა იყოს, რომ საგზაო უსაფრთხოება უკავშირდება სიკვდილიანობისა და სერიოზულად დაშავების რისკებს და აუცილებელია, რომ ამ ყველაფერს ძალიან სერიოზულად მივუდგეთ.

თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი გაკვეთილები ასაკობრივი ჯგუფის უნარებს და ცოდნას შეესაბამება:

- გაიგეთ თუ რა იცინ ახალგაზრდებმა და მათ ცოდნაზე ააგეთ გაკვეთილი
- გამართეთ დისკუსიები და ხელი შეუწყვეთ მათში ჩართულობას
- ისაუბრეთ თქვენი და ახალგაზრდების გამოცდილებებზე
- განიხილეთ რეალური ამბები და პრაქტიკული დავალებები




ს ა ბ გ დ ე

უ ს ა ზ რ თ ხ ო ე ბ ი ს

ს ა ბ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო

კ ა კ ე ტ ი



12-14

- განიხილეთ საგზაო უსაფრთხოების რისკ-ფაქტორები და თანატოლთა ზეწოლის საკითხი, ასწავლეთ მათ თუ როგორ მიიღონ უსაფრთხო გადაწყვეტილებები
- ასწავლეთ ახალგაზრდებს იფიქრონ საკუთარი ქმედებების შედეგებზე

საფრთხის გაცნობიერება და რისკების გაგება

პირველი აქტივობა და ამ პაკეტის სხვა მასალები შექმნილია ახალგაზრდებისთვის, რათა მათ ყურადღება გაამახვილონ სხვადასხვა რისკ-ფაქტორებზე.

აქტივობა: „სარისკო ქმედებები - ჯგუფური განხილვა“ - ახალგაზრდებს უწევთ დაფიქრება საკუთარ ქმედებზე და საკუთარი რისკების შეფასება.

აქტივობა: „რამდენად სარისკოა?“ - ახალგაზრდებმა უნდა განიხილონ სხვადასხვა რისკ-ფაქტორები.

მასალა: „მგზავრობის დაგეგმვა“ და **მალასა: „შეაფასეთ თქვენი უსაფრთხოება“** - სავარჯიშოები შედგენილია იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა იმჯელონ იმ რისკებზე, რომელსაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან.

საგზაო უსაფრთხოება ყველასთვისაა

აქტივობა: „საგზაო უსაფრთხოების კამპანია“ - აქტივობა ახალგაზრდებისათვის, რათა გამოიყენონ საკუთარი ცოდნა გზაზე უსაფრთხოდ გადაადგილებისთვის.

აქტივობა: „გამოთქვი საკუთარი აზრი“ - ჯგუფური სავარჯიშო, სადაც ჩართული იქნებიან ახალგაზრდები საგზაო უსაფრთხოების აუცილებლობაზე სასაუბროდ.

მასალა: „მიზეზი და შედეგი“ - ეხმარება ახალგაზრდებს ქმედებების და მათი შედეგების დანახვაში სხვადასხვა პერსპექტივიდან.



გათავისუფლდით თანატოლების ზეწოლისგან

აქტივობა: „თანატოლების ზეგავლენა - დრამატული აქტივობა“ - იძლევა შესაძლებლობას გამოიყენოთ დრამა თანატოლებს შორის ზეგავლენების შესასწავლად და ამის აღმოსაფხვრელად.

მუდამ ატარეთ უსაფრთხოების ღვედი

მასალა: „უსაფრთხოების ღვედი“ შეიცავს ინფორმაციას უსაფრთხოების ღვედის





12-14

გამოყენების, მითების, გამოწვევების შესახებ.

მძღოლის ქცევა

შემდეგი ორი აქტივობა გვაცნობს ახალგაზრდა მძღოლებისათვის რელევანტურ თემებს. აუცილებელია არსებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, სანამ ახალგაზრდები ისწავლიან მანქანის მართვას.

აქტივობა: „მძღოლის ქმედება“ რათა ახალგაზრდებმა შეისწავლონ და გააკეთონ მოკლე პრეზენტაცია მთელ რიგ საკითხებზე - უყურადღებო, გაფანტული მართვა, უსაფრთხოების ღვედის გამოყენება და სიჩქარის გადაჭარბება.


აქტივობა: „მძღოლების უსაფრთხოების კვლევა“, რათა დავაკვირდეთ მძღოლის ქმედებებს და განვიხილოთ წამოჭრილი საკითხები.

დასკვნა

აქტივობა: „შექმენით ბარათი ან პოსტერი“ ახალგაზრდებს მიეცემათ საშუალება შეაჯამონ ნასწავლი მასალა.



ს ა ბ გ დ ე
 უ ს ა შ რ თ ხ ო ე ბ ი ს
 ს ა ბ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო
 კ ა კ ე ტ ი



12-14

აქტივობა: სარისკო ქმედებები - ჯგუფური განხილვა

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. შემდეგი მითითებები მათთვისაა და არ უნდა გადაეცეთ ბავშვებს.

ხანგრძლივობა: 30 წუთი

მთავარი გზავნილი: საფრთხის გაცნობიერება, უსაფრთხო ქმედება და რისკი თინეიჯერებისათვის და ახალგაზრდა მძღოლებისათვის.

მიზანი: გავაცნობიერებინოთ ბავშვებს მათი გამოუცდელობა და მათი მიდრეკილება სარისკო მოქმედებებისადმი, რომელმაც შესაძლოა საგზაო მოძრაობისას განსაკუთრებულ საფრთხეში ჩააგდოს ისინი.

ეს არის ჯგუფური განხილვა, სადაც ახალგაზრდებმა უნდა იმსჯელონ საგზაო რისკების და საფრთხეების, უსაფრთხოდ მოქცევის შესახებ.


გააცანით ჯგუფს კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც მათი გამოუცდელობა ნიშნავს, რომ მათ ნაკლებად შეუძლიათ შეამჩნიონ საფრთხე და მათი ასაკი ნიშნავს, რომ მათ განსაკუთრებულად უყვართ რისკზე წასვლა. 25 წლამდე ახალგაზრდები ყველაზე დიდი რისკის მატარებლები არიან გზებზე - 30%-ზე მეტი იღუპება და იღებს ჯანმრთელობის დაზიანებას. საგზაო შემთხვევები 10-24 წლამდე ასაკის ადამიანების სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია.

ახალგაზრდებს სთხოვეთ განიხილონ ქვემოთ მოყვანილი საკითხები და ნახეთ აკავშირებენ თუ არა მოცემულ ქმედებებს საკუთარ თავთან ან ნაცნობებთან, მიაჩნიათ თუ არა ისინი საფრთხისშემცველად, როგორ შეუძლიათ მათ შეცვალონ თავიანთი ქმედებები უსაფრთხოების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

- რისკისშემცველი ქმედებები გზებზე - უსაფრთხოებაზე ფიქრი მხოლოდ ბავშვებისთვისაა აუცილებელი
- ზედმეტი თავდაჯერებულობა
- მობილური ტელეფონის ან ყურსასმენების გამოყენება გზის გადაკვეთისას
- მეგობრებთან ერთად ქაოსური ქცევა გზის სავალი ნაწილის ნაპირთან
- უსაფრთხოების ღვედის არ გაკეთება
- ღამე ნათელი ტანსაცმლის გარეშე გასვლა - რაც ართულებს მძღოლების ხედვას.



ს	ა	ბ	გ	დ	ე
შ	ს	თ	რ	კ	ხ
ლ	ვ	ზ	ყ	წ	ჭ
ძ	წ	ჭ	ხ	კ	ღ



12-14

აქტივობა: „რამდენად სარისკოა?“

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. შემდეგი მითითებები მათთვისაა და არ უნდა გადაეცეთ ბავშვებს.

ხანგრძლივობა: 30 წუთი

მთავარი გზავნილი: გზაზე გადაადგილებისას სიფრთხილე გმართებთ, ქცევები რისკისშემცველი არ უნდა იყოს

მიზანი: ახალგაზრდებმა უნდა გააცნობიერონ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული რისკ-ფაქტორები და შეაფასონ მისაღები და მიუღებელი ქმედებები.

დაბეჭდეთ და ამოჭერით შემდეგ გვერდზე წარმოდგენილი წინადადებები.

დაყავით ახალგაზრდები პატარა ჯგუფებად და თითო ჯგუფს მიეცით ამ წინადადებების ნაკრები. სთხოვეთ მათ, რომ განიხილონ ისინი და შეაფასონ რისკები. დისკუსიის შემდეგ, დაავალეთ მათ დააჯგუფონ ეს წინადადებები 3 ნაწილად:

- დაბალი რისკი - მე ამას გავაკეთებ
- შესაძლოა იყო რისკიანი - არ არის კარგი აზრი.
- ძალიან რისკიანი - ამას არასოდეს გავაკეთებ.

მას შემდეგ რაც ჯგუფები დაახარისხებენ წინადადებებს, ჯგუფები გააერთიანეთ დისკუსიისათვის. ჰკითხეთ რომელი ბარათი რომელ ჯგუფში გააერთიანეს და რატომ, იმსჯელონ ერთმანეთის პასუხებზე, შეადარონ ისინი, ეთანხმებიან თუ არა ერთმანეთს და რატომ.




ს ა ბ გ დ ე

შ ს ა ზ რ თ ხ მ ე ბ ი ს

ს ა ბ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო



პ ა კ ე ტ ი



12-14

ტელეფონის შემოწმება ტროტუარზე სეირნობისას
სკოლიდან გვიან გამოსვლა
ღამე, სიბნელეში მუქი ტანსაცმლის ტარება
პარკში ფეხბურთის თამაში
გზის გადაკვეთისას მუსიკის მოსმენა ყურსასმენებით
მძღოლის წახალისება სიჩქარის ლიმიტის გადაჭარბებაზე
მანქანაში თამაში, როცა უკვე სახლს უახლოვდები
უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა





მასალა: მგზავრობის დაგეგმვა¹

თქვენ წელიწადში დაახლოებით 400-ჯერ გადიხართ მანძილს სახლიდან სკოლამდე და პირიქით. ეს სავარჯიშო დაგეხმარებათ იმაში, რომ გადახედოთ ამ მარშრუტს საგზაო უსაფრთხოების კუთხით და მაქსიმალურად უსაფრთხო გახადოთ ის.



იპოვეთ ან დახაზეთ ადგილობრივი რუქა, რომელიც აჩვენებს თქვენს გზას სკოლამდე. მიჰყევით ქვემოთ მოცემულ ეტაპებს, რომ გაანალიზოთ თქვენი მარშრუტი და გამოიყენეთ ცხრილი, რომ გაითვალისწინოთ საფრთხეები და საშუალებები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს. განსაზღვრეთ საფრთხეები თითოეულ ეტაპზე. შეაფასეთ თითოეული საფრთხის რისკები - მაღალი, საშუალო ან დაბალი? როგორ შეამცირებთ რისკებს და შეინარჩუნებთ უსაფრთხოებას?

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც მაგალითის მიხედვით უნდა შეავსოთ.

ჩემი მარშრუტის ეტაპები	საფრთხეები	რისკები	როგორ გავხადოთ მარშრუტი უსაფრთხო?
ფეხით გადაადგილება გზაზე ტროტუარის გარეშე	შესაძლოა მანქანა დაგეჯახოს	საშუალო/ მაღალი	იარეთ გზის კიდეებთან შემხვედრი მოძრაობისკენ სახით მიმართული, ატარეთ ნათელი ტანსაცმელი
ფეხით გადაადგილება მთავარი გზის გასწვრივ მდებარე ტროტუარზე	შესაძლოა მანქანა დაგეჯახოს	საშუალო/ მაღალი	იყავით ფიზიკურად, ყურადღებით არ გაიკეთოთ ყურსასმენები.
ავტობუსში ასვლა	თუ ავტობუსი მოულოდნელად გაჩერდება, შესაძლოა წაიქცეთ	დაბალი	იპოვეთ თავისუფალი სკამი ან თუ დგახართ, მოეჭიდეთ სახელურს
ავტობუსიდან ჩამოსვლა და გზის გადაკვეთა	შესაძლოა მანქანა დაგეჯახოს	საშუალო	დაელოდეთ ავტობუსის ბოლომდე გაჩერებას, იპოვეთ უსაფრთხო ადგილი გზის გადასაკვეთად, შეჩერდით, გაიხედეთ და მოისმინეთ

¹ აქტივობა ადაპტირებულია დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო დეპარტამენტის Think! კამპანიის ფარგლებში შემუშავებულ რესურსებზე დაყრდნობით, ჩვენ ვსარგებლობთ მისი გამოყენების ნებართვით. www.think.direct.gov.uk





12-14



გამოიყენეთ ეს ცხრილი, რომ გაანალიზოთ საკუთარი გზა სკოლისაკენ:

ჩემი მარშრუტის ეტაპები	საფრთხეები	რისკები	როგორ გავხადოთ მარშრუტი უსაფრთხო?

ასევე, იფიქრეთ რა შეიძლება გააკეთოთ იმ შემთხვევაში თუ, გაუთვალისწინებელი რამ მოხდება?

- რა შეიძლება მოხდეს, თუ გაგვიანდებათ და მირბიხართ?
- რა შეიძლება მოხდეს, თუ ვერ მიუსწარით ავტობუსს?
- რა შეიძლება მოხდეს, თუ თქვენი მეგობრები ქაოსურად დგანან გზასთან ახლოს?





12-14

მასალა: შეაფასეთ თქვენი უსაფრთხოება


მოცემული ცხრილის შევსება დაგეხმარებათ თქვენი უსაფრთხოების შეფასებაში.

	იშვიათად	რეგულარულად	ყოველთვის
საკმარისი დრო გაქვთ მგზავრობისთვის?			
სადამოს გადაადგილებისას ნათელი ფერის ტანსაცმელი გაცვიათ?			
გიკეთიათ ყურსასმენები გზის გადაკვეთისას?			
გზასთან ახლოს გადაადგილებისას თუ იყენებთ მობ. ტელეფონს?			
გადადიხართ გზაზე ორ გაჩერებულ მანქანებს შორის?			
გადადიხართ გზაზე მიუხედავად საგზაო მოძრაობის?			
გზის გადაკვეთისას გადარბიხართ?			
გიკეთიათ უსაფრთხოების ღვედი, როცა მანქანით მგზავრობთ			

შეადარეთ თქვენი პასუხები თქვენი მეგობრების პასუხებს და იფიქრეთ, თუ როგორ შეგიძლიათ გამოასწოროთ თქვენი უსაფრთხოება?



ს	ა	ბ	ზ	ა	ო											
	შ	ს	ა	შ	რ	თ	ხ	ო	ე	ბ	ი	ს				
ს	ა	ბ	ა	ნ	მ	ა	ნ	ა	თ	ლ	ე	ბ	ლ	ო		
	კ	ა	კ	ე	ტ	ი										



12-14

აქტივობა: საგზაო უსაფრთხოების კამპანია

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. შემდეგი მითითებები მათთვისაა და არ უნდა გადაეცეთ ბავშვებს.

ხანგრძლივობა: მინიმუმ 1-2 საათი ან უფრო მეტი მასშტაბური პროექტებისათვის.

მთავარი გზავნილები: შეჩერდი, გაიხედე და მოისმინე გზის გადაკვეთისას, იყავით ნათელი, ყოველთვის გამოიყენეთ უსაფრთხოების ღვედი.

მიზანი: ბავშვებმა უნდა იფიქრონ საგზაო უსაფრთხოების მთავარ გზავნილებზე და განამტკიცონ თეორიული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში



სთხოვეთ ახალგაზრდებს დაგეგმონ საგზაო უსაფრთხოების კამპანია ბავშვებისათვის. დაიწყეთ ისე, რომ ახალგაზრდებმა განიხილონ გზავნილები, რომ კამპანია ფოკუსირდეს მათზე. მათ შესაძლოა სურთ ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილთაგან რომელიმე აირჩიონ:

- შეჩერდი, გაიხედე და მოისმინე
- ხელები ჩასჭიდეთ უფროსებს
- იყავით ნათელი
- მუდამ გეკეთოთ უსაფრთხოები ღვედი

მას შემდეგ, რაც შეარჩევნ გზავნილს, მიეცით საშუალება რომ დამოუკიდებლად ან პატარა ჯგუფებმა შეიმუშავონ მასალები თავიანთი კამპანიისთვის, მაგალითად, პოსტერები, თამაშები, მოთხრობები, ისტორიები, ბუკლეტები, ვიდეოები და ა.შ.

დარწმუნდით, რომ ახალგაზრდებმა ინტერაქტიული კამპანია დაგეგმეს და შერჩეული საგზაო უსაფრთხოების გზავნილი მათი ყურადღების ცენტრშია. მიეცით მათ საკამრისი დრო და საჭირო რესურსი მასალების შესადგენად.





12-14

მასალა: გამოხატეთ საკუთარი აზრი²


ქვემოთ მოცემულია ახალგაზრდების მიერ გამოთქმული ფრაზები, რომლებიც გამოხატავს მათ დამოკიდებულებას საგზაო უსაფრთხოებაზე. პატარა ჯგუფებში განიხილეთ ისინი. ეთანხმებით თუ არა მათ? რატომ?

<p>უფროსები მუდმივად საუბრობენ იმის შესახებ, თუ რამდენად საშიშია გზები, და თუ როგორ უნდა გადაკვეთოთ გზა უსაფრთხოდ. მაგრამ თავად ამას ყურადღებას არ აქცევენ, თავად გადაკვეთენ გზას ნებისმიერ ადგილზე. რატომ უნდა შევიწუხოთ თავი, უსაფრთხოების წესების დაცვით, თუ ისინი არ იცავენ?</p>
<p>ჩემი მეგობრები შეკრებილი არიან და დარბიან მანქანების წინ, მეგონა ეს სულელური იქნებოდა, მაგრამ არ მინდა შეშინებული ვჩანდე, ასე რომ მეც შევუერთდი. მხოლოდ ერთხელ...</p>
<p>ჩვენ გვასწავლიდნენ ბევრს საგზაო უსაფრთხოებაზე დაწყებით სკოლაში, ახლა არა, არა იმიტომ რომ არ არის მნიშვნელოვანი, არამედ იმიტომ რომ პატარა ბავშვი აღარ ვარ. არც-ერთი ჩემი მეგობარი არ დაშავებულა. მე ამაზე არ უნდა ვდარდობდე.</p>
<p>შეუძლებელია იყო უსაფრთხოდ იქ სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.</p>
<p>ვიცი წესები, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში არასოდეს მახსოვს. როცა ვაგვიანებ სკოლაში, მარტო იმაზე ვფიქრობ რომ დროზე მივიდე სკოლაში. წინა დღეს მე გადავვიდე გზაზე და კინაღამ შევეჯახე მოტოციკლეტისტს. მივხდი როგორ გამიმართლა.</p>
<p>გზაზე უსაფრთხოება? არა, ეს ის არაა, რაზეც მე ვფიქრობ. ტვ- ან რადიო ახალ ამბებში - მსგავნი ინფორმაცია /სროლა, დაჭრა/ არ გადმოიცემა. ეს ყველაფერი მაშინებს.</p>

² აქტივობა ადაპტირებულია დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო დეპარტამენტის Think! კამპანიის ფარგლებში შემუშავებულ რესურსებზე დაყრდნობით, ჩვენ ვსარგებლობთ მისი გამოყენების ნებართვით. www.think.direct.gov.uk



ს	ა	ბ	გ	დ	ე
შ	ს	თ	რ	კ	ხ
ს	ა	ბ	გ	დ	ე
ვ	ზ	თ	ი	კ	ქ



12-14

მასალა: მიზეზი და შედეგი³

მოცემული ტექსტი 13 წლის დავითის უბედური შემთხვევის შესახებაა. გაეცანით მას, ასევე, შემდეგ წარმოდგენილ მასალას და იმსჯელეთ განხილულ საკითხებზე.

დავითის უბედური შემთხვევა

13 წლის დავითი ორშაბათს დილით სკოლისკენ მიიჩქაროდა. მას აგვიანდებოდა. ტექსტური შეტყობინება მიიღო ლადოსგან. მეგობარმა უთხრა, რომ უკვე სკოლაში იყო და მას სურდა რომ დავითიც მისულიყო რაც შეიძლება სწრაფად, რათა გაკვეთილების დაწყებამდე ფეხბურთის თამაში მოესწროთ.

დავითმა დაინახა მისი ავტობუსი გზის გაღმა და სურდა, რომ მიესწრო, ამიტომ შეეცადა გზა სირბილით გადაეკვეთა. მას ახალგაზრდა დედა დაეჯახა, რომლის მანქანის უკანა სავარძელზე ჩვილი ბავში იყო. დავითმა ვერ დაინახა მანქანა და მძღოლსაც დამუხრუჭება ვერ მოასწრო.

დავითი წაიყვანეს საავადმყოფოში ფეხისა და თავის დაზიანებებით, მკურნალობას რამოდენიმე თვე დასჭირდა.

საგზაო შემთხვევის შემდეგ, დავითს სკოლის გაცდენა მოუწია, უკეთ რომ გახდა თავისუფალ დროს საშინაო დავალებების შესრულება უწყევდა. ასევე გააცდინა როგორც სკოლის ბოლო სემესტრის ექსკურსია და ვერ შეძლო მეგობრებთან ერთად დროის გატარება.

გაეცანით მოცემულ კომენტარებს და იფიქრეთ, თუ როგორ შეიძლება გრძნობდეს თავს თითოეული ადამიანი და რა გავლენა ექნებოდა ამ საგზაო შემთხვევას მათ ცხოვრებაზე.

დავითი

„უკვე ვაგვიანებდი. ლადომ მომწერა, რომ ის უკვე სკოლაში იყო და სურდა ჩემთან ერთად ფეხბურთის თამაში. ვნახე ავტობუსი, რომელიც უკვე გაჩერებული იყო გზაზე, სწრაფად გავიქციე, რომ მიმესწრო, მალე საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე აღმოჩნდი და რამდენიმე თვე უმოძრაოდ ყოფნა მომიწია.“

³ აქტივობა ადაპტირებულია დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო დეპარტამენტის Think! კამპანიის ფარგლებში შემუშავებულ რესურსებზე დაყრდნობით, ჩვენ ვსარგებლობთ მისი გამოყენების ნებართვით. www.think.direct.gov.uk




ს ა ბ გ დ ე

უ ს ა შ რ თ ხ ო ე ბ ი ს

ს ა ბ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო

პ ა კ ე ტ ი



12-14

რა გავლენა ექნება ამ საგზაო შემთხვევას დავითზე? გაითვალისწინეთ:

- დავითის ფიზიკური დაზიანება.
- გამოჯანმრთელების მერე მეგობრებთან ერთად ვერ გაერთობოდა.
- სკოლის გაცდენა.
- დავითის დამაჯერებლობა გზის გადაკვეთისას.
- როგორ მოიქცევა დავითი მომვალში?
- დავითის დამოკიდებულება მის მეგობრებისადმი.

ლადო

„მე უკვე სკოლაში ვიყავი და ძალიან მოვიწყინე, დავითი დამპირდა ადრე მოსვლას და ფეხბურთის თამაშს გაკვეთილების დაწყებამდე. დავითმა დააგვიანა, მივწერე, რომ ეჩქარა, მართლა მინდოდა რომ გვეთამაშა, ძალიან ბედნიერი ვარ რომ ის გადარჩა.“

ლადოზე როგორ იმოქმედებდა ეს უბედური შემთხვევა? გაითვალისწინეთ:

- გრძნობდა თუ არა ლადო პასუხისმგებლობას, როცა დავითს აიძულა ეჩქარა?
- როგორ შეცვლიდა ეს მათ მეგობრობას?
- რას იფიქრებდნენ დავითის მეგობრები ლადოზე?
- როგორ მოიქცევა ლადო მომავალში?

დავითის დედა

“დავითს დაეჯახა მანქანა, როცა სკოლაში მიიჩქაროდა. ვეუბნებოდი მას ყურადღებით ყოფილიყო გზებზე. გაუმართლა, რომ მანქანა არ მოდიოდა სწრაფად. მან მუხლი და თავი დაიზიანა ისე, რომ რამოდენიმე ნაკერი ჰქონდა. სკოლაში დიდი ხანია არ უვლია.“

რა გავლენა ექნებოდა ამ ინციდენტს დავითს დედაზე? გაითვალისწინეთ:

- აბრალებს დავითს ამ საგზაო შემთხვევას?
- რისი გაკეთების უფლებას მისცემს ის დავითს მომავალში?
- როგორ მოექცევა ის დავითს, როცა ის მარტო, დამოუკიდებლად გავა გარეთ?
- როგორ იგრძნო თავი მან, როცა გაიგო დავითს ავარიის შესახებ და როცა დავითი ნახა საავადმყოფოში?

მანქანის მძღოლი

„საშინელება იყო. ბიჭმა წინ გადამირბინა. ვერ შევაჩერე მანქანა, დავეჯახე. მე პატარას ვუმღეროდი, რომელიც უკანა სავარძელში იჯდა, შესამლოა ამან გამიფანტა ყურადღება,




ს ა ბ გ დ ე

შ ს ა შ რ თ ხ ო ე ბ ი ს

ს ა ბ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო

პ ა კ ე ტ ი



12-14

მაგრამ არ მგონია. თუმცა 100% დარწმუნებული ვერ იქნები. ეს ყველაფერი თავიდან არ ამომდის. კიდევ კარგი, რომ ნელა მივდიოდი, ოდნავ სწრაფად რომ მეტარებინა მანქანა, შესაძლოა მომეკლა ბიჭი.

რა გავლენა ექნება ამ საგზაო შემთხვევას მანქანის მძღოლზე? გაითვალისწინეთ:

- თვლის თუ არა ის ნაწილობრივ მაინც დამნაშავედ თავს?
- მისი დამაჯერებლობის დონე.
- მანქანის შესაკეთებლად საჭირო დრო და ხარჯი
- რას იფიქრებენ მისი ოჯახის წევრები და მეგობრები?

პოლიციის ოფიცერი

„ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირად ხდება. ამ ბიჭს უბრალოდ გაუმართლა. მანქანა რომ უფრო მაღალი სიჩქარით მოძრაობდა ყოფილიყო, ის შესაძლოა მომკვდარიყო.“

რა გავლენა შესაძლოა ჰქონოდა ამ ინციდენტს პოლიციის ოფიცერზე? გაითვალისწინეთ:

- რას ფიქრობს ის ახალგაზრდებზე, რომლებიც გზაზე გადადიან?
- რა იგრძნო მან, როცა შემთხვევის ადგილზე მივიდა?
- რა იგრძნო მან, როცა დავითის დედასთვის მოუწია ამ საგზაო შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება?
- რა გავლენა ექნება ამ ინციდენტს მისი შვილებთან ურთიერთობაზე?




ს ა ბ გ დ ე

უ ს ა შ რ თ ხ ო ე ბ ი ს

ს ა ბ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო

კ ა კ ე ტ ი



12-14

აქტივობა: თანატოლების ზეგავლენა - დრამატული აქტივობა⁴

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. შემდეგი მითითებები მათთვისაა და არ უნდა გადაეცეთ ბავშვებს.

ხანგრძლივობა: დაახლოებით 1 საათი - გააჩნია ჯგუფების რაოდენობას.

გზავნილი: არ მოექცეთ თანატოლების გავლენის ქვეშ.

მიზანი: დრამატული აქტივობა თანატოლების ზეწოლის თემატიკაზე, რათა ახალგაზრდები გაუმკლავდნენ ამ პრობლემას.

ამ სავარჯიშოებში ახალგაზრდების 5-6 კაციანმა ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ 3-5 წუთიანი სპექტაკლი, სადაც საგზაო უსაფრთხოების თემატიკა თანატოლების უარყოფითი ზეგავლენის თემატიკასთან მკაფიოდ იქნება დაკავშირებული. უნდა დარწმუნდეთ, რომ ყველა ახალგაზრდამ კარგად გაიგო თანატოლების წნეხის კონცეფცია, იმსჯელეთ ამ საკითხზე. ყველა სცენარი უნდა შეიცავდეს:

- საგზაო უსაფრთხოების მთავარ გზავნილს
- თანატოლების ზეგავლენასთან გამკლავების და უსაფრთხო ქმედებებში ჩარევის თავიდან აცილების სტრატეგიას
- თანატოლების ზეგავლენის შედეგებს


მიეცით ახალგაზრდებს 15-20 წუთი მოიფიქრონ სცენარი და მოამზადონ სპექტაკლი. ამ პერიოდის განმავლობაში მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ახალგაზრდები კარგად ართმევენ მოცემულ დავალებას თავს. მიეცით დრო რეპეტიციისთვის. თითოეული სპექტაკლის შემდეგ, თქვენ შესაძლოა გასურდეთ შემდეგი საკითხების განხილვა:

- რა იყო ის სარისკო ქმედება, რამაც გამოიწვია პრობლემა?
- რა ტიპის ზეწოლა იყო აშკარა?
- იყო თუ არა მეგობრობის გავლენა სახეზე?
- დაზაინდა ვინმე ან რამე? როგორ იმოქმედა ამ დაზიანებებმა თითოეულ მონაწილეზე?
- სხვაგვარად როგორ შეეძლოთ მოქცეულიყვნენ პერსონაჟები? სხვანაირად რომ მოქცეულიყვნენ შედეგი შეიცვლებოდა?

⁴ აქტივობა გამოქვეყნებულია დიდი ბრიტანეთის დასავლეთ იორკშირის სახანძროს მიერ, ჩვენ ვსარგებლობთ მისი გამოყენების ნებართვით. www.westyorksfire.gov.uk



ს	ა	ბ	ზ	ა	ო
შ	ს	ა	ფ	რ	თ
ხ	ო	ე	ბ	ი	ს
ს	ა	ბ	ა	ნ	მ
ა	ნ	ა	თ	ლ	ე
ბ	ჟ	ო			
კ	ა	კ	ე	ტ	ი



12-14

მასალა: უსაფრთხოების ღვედი⁵

უსაფრთხოების ღვედი იცავს თქვენს სიცოცხლეს. გაკეთ მიზეზი იმისა, რომ არ გაიკეთოთ ღვედი? ყველა ასეთი მიზეზი არასწორია.

მხოლოდ ქუჩის კუთხეში მინდა გასვლა და დაბალი სიჩქარით გადავადგილდები.



საგზაო შემთხვევების დიდი ნაწილი, სახლიდან 4 კმ რადიუსში ხდება 60კმ/სთ-ზე ნაკლები სიჩქარით გადაადგილებისას.

უსაფრთხოების ღვედი არ არის კომფორტული, ის გვზღუდავს



თავიდან უსაფრთხოების ღვედი შესაძლოა იყოს არაკომფორტული, მაგრამ შეეჩვევი. რაც შეეხება შეზღუდვას, ეს არის ის, რისთვისაც არსებობს!

ვზივარ უკანა სავარძელში, მხოლოდ წინა სავარძელში მჯდომს სჭირდება ღვედი



უკანა სავარძელში მჯდომი უღვედო მგზავრი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საკუთარ სიცოცხლეს, არამედ წინ მსხდომებისაც.

თუ საგზაო შემთხვევისას მანქანა იწვის ან იძირება წყალში, შესაძლოა ღვედმა მე ჩამითრიოს და შემაფერხოს.



სამიშროება იმისა, რომ მანქანა ჩაიძიროს წყალში ან გაეხვიოს ცეცხლში არის 1%. ასეთ დროს, თქვენ შესაძლოა დაშავდეთ ან დაიღუპოთ იქამდე, სანამ ეს მოხდება.

ღვედმა შესაძლოა საგზაო შემთხვევის დროს დაგაზიანოთ




იმაზე მეტად არ დაგაზიანებთ, ვიდრე დაზიანდებით მისი გამოუყენებლობის შემთხვევაში. ღვედი იმისთვისაა, რომ საგზაო შემთხვევის შედეგად თქვენი დაღუპვის რისკი 75%-ით შეამციროს.

⁵ მასალა გამოქვეყნებულია ორგანიზაციის „ახალგაზრდები საგზაო უსაფრთხოებისთვის“ მიერ და ჩვენ ვსარგებლობთ მისი გამოყენების უფლებით. www.youthforroadsafety.org



ს	ა	ბ	გ	დ	ე
შ	ს	თ	რ	კ	ხ
ს	ა	ბ	გ	დ	ე
შ	ს	თ	რ	კ	ხ



12-14

აქტივობა: მძღოლის ქცევა

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. შემდეგი მითითებები მათთვისაა და არ უნდა გადაეცეთ ბავშვებს. ეს აქტივობა ითხოვს წვდომას ინტერნეტთან.

ხანგრძლივობა: 1 საათი

მთავარი გზავნილი: ყოველთვის გამოიყენეთ უსაფრთხოების ღვედი. ავტომანქანის მართვისას არასოდეს გამოიყენოთ მობილური ტელეფონი. მართვა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ დაუშვებელია. არ გადაადგილდეთ სწრაფად.

მიზანი: შეასწავლეთ და გააგებინეთ ახალგაზრდებს ის საკითხები და პრობლემები, რის წინაშეც ახალბედა მძღოლები აღმოჩნდებიან ხოლმე, დაეხმარეთ მათ, განავითარონ სწორი ქცევები, სანამ თვითონ აღმოჩნდებიან საჭესთან.

დაყავით ახალგაზრდები ოთხ ჯგუფად და სთხოვეთ მათ გამოიკვლიონ მძღოლის ქცევასთან დაკავშირებული საკითხი. ამ სავარჯიშოსთვის იტერენტთან წვდომა აუცილებელია. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს მოამზადოს 2 წუთიანი პრეზენტაცია შემდეგ საკითხებზე:


- მართვა სხვადასხვა ზემოქმედების ქვეშ - ალკოჰოლი, ნარკოტიკი, დაღლილობა
- უსაფრთხოების ღვედი
- სიჩქარის გადაჭარბება
- ავტომანქანის ტარებისას ყუადლების გაფანტვა-როგორცაა ჭამა., ტელეფონზე საუბარი, მესიჯობა...

შესაძლოა მათ სურდეთ შემდეგი ფაქტორების განხილვა:

- ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობა
- საგზაო შემთხვევების სტატისტიკა
- საგზაო უსაფრთხოების კამპანიები ქვეყანაში ან მთელს მსოფლიოში
- რა გავლენა აქვს ახალგაზრდებს?
- ცნობიერების გაუმჯობესების საშუალებები



ს	ა	ბ	ზ	ა	ო											
	შ	ს	ა	შ	რ	თ	ხ	ო	ე	ბ	ი	ს				
ს	ა	ბ	ა	ნ	მ	ა	ნ	ა	თ	ლ	ე	ბ	ლ	ო		
	კ	ა	კ	ე	ტ	ი										



12-14

აქტივობა: მძღოლების უსაფრთხოების კვლევა

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. შემდეგი მითითებები მათთვისაა და არ უნდა გადაეცეთ ბავშვებს. ეს აქტივობა ითხოვს წვდომას ინტერნეტთან.

ხანგრძლივობა: 1 საათი კვლევისთვის - დამატებითი დრო შემდეგ აქტივობებში

მთავარი გზავნილი: მუდამ ატარეთ უსაფრთხოების ღვედი. ავტომანქანის ტარებისას არასოდეს გამოიყენოთ ტელეფონი

მიზანი: ახალგაზრდებმა მიერ სატრანსპორტო მოძრაობაზე დაკვირვება და მძღოლების უსაფრთხო და საფრთხისშემცველი ქმედებების შეფასება

ეს აქტივობა გულისხმობს ახალგაზრდების გაყვანას მიმდებარე გზაჯვარედინთან, მათი მცირე ჯგუფები 20 წუთის განმავლობაში დააკვირდებიან მძღოლებს.

შეარჩიეთ ახალგაზრდებისათვის უსაფრთხო ადგილი და გზა, სადაც სტაბილურად მოძრავი სატრანსპორტო ნაკადია. კვლევამდე ახალგაზრდებს ესაუბრეთ მოლოდინებზე და იმ ქმედებებზე, რომლებსაც ისინი უნდა დააკვირდნენ:

- მძღოლები არ ატარებენ ღვედს
- მგზავრები არ ატარებენ ღვედს
- მძღოლები იყენებენ ტელეფონს
- მანქანის მართვა წესების დარღვევით, შუქნიშანზე გავლა, სიჩქარის გადაჭარბება და ა.შ.


ჯგუფმა უნდა ჩაინიშნოს მონაცემები. მათ დაწერონ საბოლოო ანგარიში თავიანთ შედეგებზე. მათ უნდა გაანალიზონ თავიანთი მონაცემები (მაგ: პროცენტულად რა რაოდენობის მძღოლებს ეკეთათ/არ ეკეთათ უსაფრთხოების ღვედი?) და შედეგები გრაფიკულად/სქემის /დიაგრამის/ სახით წარმოადგინონ.

კვლევის შემდეგ

სთხოვოთ ახალგაზრდებს, რომ შექმნან კამპანია, რომელიც წაახალისებს მძღოლებს, რომ მათ გამოიყენონ უსაფრთხოების ღვედი და საჭესთან არ გამოიყენონ ტელეფონი.



ს	ა	ბ	გ	დ	ე
შ	ს	თ	რ	კ	ხ
ს	ა	ბ	გ	დ	ე
ვ	ზ	თ	ი	პ	ჟ



12-14

აქტივობა : შექმნით ბარათი ან პოსტერი⁶

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს. შემდეგი მითითებები მათთვისაა და არ უნდა გადაეცეთ ბავშვებს. ეს აქტივობა ითხოვს წვდომას ინტერნეტთან.

ხანგრძლივობა: 45 წუთი

მთავარი გზავნილი: ახალგაზრდებმა უნდა გადაწყვიტონ

მიზანი: ახალგაზრდებმა უნდა გაითვალისწინონ უსაფრთხოების მთავარი გზავნილები და გააცნობიერონ, რომ საკუთარი სწორი ქმედება შეუწარმუნებთ მათ უსაფრთხოებას.

ეს არის ჯგუფური აქტივობა, სადაც ახალგაზრდები საგზაო უსაფრთხოების ბარათების ან პოსტერების შექმნაზე იმუშავებენ. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ჯგუფი განიხილავს და გააკეთებს კომენტარებს უსაფრთხოების წესებზე.

ახალგაზრდებმა უნდა გადაწყვიტონ თავიანთი ვალდებულებები, მათ უნდა შექმნან ინდივიდუალური ბარათები ან ჯგუფური პოსტერი, სადაც ყველას ერთად შეეძლება ხელის მოწერა. ჯგუფმა საკუთარი წესების სია უნდა მოიფიქროს, რაც ჯგუფური დისკუსიის შედეგად უნდა მიიღწეოდეს. შესთავაზეთ მათ, რომ ბარათზე 5-დან 8-მდე წესი ასახონ, ეს იქნება მათთვის გამოწვევა, მოახდინონ საკითხების პრიორიტეტიზაცია.



ქვემოთ ნიმუშია წარმოდგენილი.

საგზაო უსაფრთხოების ბარათი

- სდექ, გაიხედე და მოისმინე
- უსაფრთხოების ღვედის ტარება
- გზაზე არასოდეს შეგროვდე ქაოსურად
- გზის გადაკვეთისას არასოდეს გამოიყენოთ ტელეფონი
- არ გაუფანტოთ მძღოლს ყურადღება
- ღამე იყავით ნათელ ფერებში

⁶ მასალა გამოქვეყნებულია ორგანიზაციის „ახალგაზრდები საგზაო უსაფრთხოებისთვის“ მიერ და ჩვენ სარგებლობთ მისი გამოყენების უფლებით. www.youthforroadsafety.org





ძვირფასო მშობლებო!

თქვენი შვილი სწავლობს საგზაო უსაფრთხოების წესებს პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს საგზაო შემთხვევების რაოდენობისა და მათი შედეგების სიმძიმის შემცირებას.

ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის აქტივობებში, შეასრულეს დავალებები, პრაქტიკული სავარჯიშოები, მოისმინეს, შეთხზეს მოთხრობები.

აღნიშნული აქტივობები მიზნად ისახავს მათთვის იმ წესების სწავლებას, რომლებიც გზებზე უსაფრთხოდ მოქცევის წინაპირობა ხდება. ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- „იყავით ფხიზლად და მუდამ გაანალიზეთ რისკები“
- „არ გარისკოთ გზის გადაკვეთისას“
- „საგზაო უსაფრთხოება ყველასთვისაა“
- „არ მოექცეთ თანატოლების ზეგავლენის ქვეშ“
- „ყოველთვის გამოიყენეთ უსაფრთხოების ღვედი“

მოზარდები მცირეწლოვან ბავშვებთან შედარებით დამოუკიდებლები არიან, ამასთან მეტად მიდრეკილნი არიან რისკებისადმი, საკუთარ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებენ და საკუთარი თანატოლების გავლენის ქვეშ ექცევიან, რაც ხშირად უბიძგებს მათ უსაფრთხოების წესების დარღვევისკენ. საბოლოოდ კი მივდივართ იქამდე, რომ ეს ასაკობრივი ჯგუფი, საგზაო მოძრაობისას ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არის.

თქვენ სანიმუშო მაგალითი ხართ ბავშვისათვის, ამიტომ აჩვენეთ მათ სწორი ქმედების მაგალითი ქვეითად თუ ტრანსპორტით გადაადგილებისას, ეს დაეხმარება მათ შეიძინონ უნარები, რომლებსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებენ.


გთხოვთ, მათ მიერ შესწავლილი ზემოხსენებული საკითხების გამყარებით, შეინარჩუნოთ თქვენი და თქვენი შვილების უსაფრთხოება.

გმადლობთ მხარდაჭერისათვის!

ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“



ს ა ბ გ დ ე
 უ ს ა ზ რ თ ხ მ ე ბ ი ს
 ს ა ბ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო
 კ ა კ ე ტ ი



12-14

მადლობა

აღმოსავლეთ ალიანსი უსაფრთხო და მდგრადი ტრანსპორტისთვის (EASST) მადლობას უხდის შემდეგ ორგანიზაციებს მხარდაჭერისთვის:



Brake

<http://www.brake.org.uk/>



European Bank
for Reconstruction and Development

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

<http://www.ebrd.com/>



FOUNDATION

FIA-ს ფონდი

www.fiafoundation.org



დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტის დეპარტამენტი,

Think! კამპანია think.direct.gov.uk



ახალგაზრდები საგზაო

უსაფრთხოებისთვის

www.youthforroadsafety.org



European Bank
for Reconstruction and Development



Eastern Alliance for Safe
and Sustainable Transport



FOUNDATION